# ხელშეკრულება№ 36

ქ.რუსთავი 19 აგვისტო 2013 წელი

ა.(ა).ი.პ. „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში „დამკვეთი“), მისი დირექტორის ია ქელბაქიანის სახით, ერთის მხრივ და ი.მ. „არჩილი მუჯირიშვილი“ (შემდგომში „შემსრულებელი“), არჩილ მუჯირიშვილის სახით, მეორეს მხრივ, შევთანხმდით ურთიერთშორის და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „დამკვეთი“ ავალებს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები.

1.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსრულებლის“ მიერ გაერთიანების №8-ე ფილიალის სააღმზრდელო ორ ჯგუფში საკანალიზაციო მილების გაყვანა, წყლის სისტემის გაყვანა და ნიჟარების დამონტაჟება.

## 2. მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.1. “შემსრულებელი“ ვალდებულია „დამკვეთის“ დავალების შესაბამისად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

2.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საკუთარი მასალით.

2.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენოს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილ ინვოისში (დანართი 1) მითითებული მასალები, მითითებული ოდენობით.

2.4. იმ შემთხვევაში თუ ინვოისში მითითებული მასალები სრულად არ გაიხარჯა, „შემსრულებელი“ ვალდებულია დარჩენილი მასალები დატოვოს ფილიალში, რაზეც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.5. „შემსრულებელი“ პასუხისმგებელია მასალის ხარისხზე.

2.6. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ჯეროვნად, მოქმედი ნორმების დაცვით და გონივრულ ვადაში.

2.7. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

2.8. შესრულებულ სამუშაოში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, „დამკვეთს“ უფლება აქვს არ მიიღოს შესრულება და მოსთხოვოს „შემსრულებელს“ მისი გამოსწორება.

2.9. „დამკვეთს“ უფლება აქვს არ აანაზღაუროს ნაკლის აღმოფხვრის დროს გაწეული ხარჯები.

2.10. შესრულებული სამუშაოს მოწონების შემთხვევაში, „დამკვეთი“ ვალდებულია მიიღოს შესრულება.

2.11. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს.

2.12. შესრულების მიღება ფორმდება შესაბამისი ფორმა 2–ის, მიღება–ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

2.13. სამუშაოს მიღების შემთხვევაში, „დამკვეთი“ ვალდებულია აანაზღაუროს მომსახურების ხარჯები.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „დამკვეთის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 1331 (ერთი ათას სამას ოცდათერთმეტი) ლარით.

3.2. „შემკვეთი“ ავანსის სახით იხდის ხელშეკრულების ღირებულების 30%–ს, ხოლო საბოლოო ანგარიშწორება ხორციელდება „შემკვეთის“ მიერ სამუშაოს მიღებიდან 2 დღის ვადაში.

## 4. ხელშეკრულების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერისთანავე.

4.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია სამუშაო შეასრულოს 2013 წლის 27 აგვისტომდე.

4.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

## 5. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

## მხარეთა რეკვიზიტები

| „დამკვეთი“ | „შემსრულებელი“ |
|---|---|
| ააიპ „ქალაქ რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება | ი.მ. „არჩილ მუჯირიშვილი“ |
| მის: ქ.რუსთავი კოსტავას გამზ. №20 | მის: ქ.რუსთავი ასლანიკაშვილის ქ.№4 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 216439325 | საიდენტიფიკაციო კოდი 35001033645 |
| ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ რუსთავის ფილიალი | ს.ს „საქართველოს ბანკი“ |
| ბანკის კოდი 220101413 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ა/ა GE85LB0115115445188000 | ა/აGE95BG0000000707953600 |